სახალხო გაზეთი

№ 841 შაბათი, 9 მარტი 1913 წ. № 841

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, **თვეში** — 75 კაპ. **დამატებიანი** 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური
საპოლიტიკო
და
სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში**, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2. **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3 **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ქ. ქუთაისს, კვირას, 10 მარტს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

თ-დ ჯამბაკურ დავითის ძის გურიელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი ჭირისუფლები. 145

ქართული თეატრი
ტელეფ. № 795.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა

კვირას, 10 მარტს, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში,

წარმოდგ. იქნება შექსპირის ცნობილი პიესა **ოტელო** — ვენეციელი მავრი — ტრაგ. 5 მოქ. ივ. მაჩაბლის თარგ.

განახლებული დეკორაციები და ტანსაცმელები

მონაწილეობას იღებენ ყველა ამხანაგები. დასაწყისი საღამო 8 ს.

რეჟისორი **ვალ. გუნია.** მორიგი ამხანაგი **ვ. აბაშიძე.**

ამხანაგობა დაბეჯითებით სთხოვს წარმოდგენის დამსწრეთ, წეს-რიგი დაიცვან და უსათუოდ ბილეთებზე აღნიშნულ ადგილზე დასხდნენ ხოლმე. 1094

№ 25. **ტფილისის სახაზინო თეატრი** № 25.

ხუთშაბათს, 14 მარტს,

ზუბალაშვილების სახ. სახ. სახლთან არსებ. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ

თავის საშუალებათა გასაძლიერებლად

დამსახურ. მსახიობ. **ქ-ნ ეფ. მესხისა** და **ბ. კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ისტორიული დრამა ლეგენდა **ლალატი** 5 მოქ. თავ. სუმბათაშვილისა. თარგმ. გრ. ყიფშიძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ნ. ბადრიძე, ნ. **გამრეკელი-ტორელი**, მარგ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი ა. კახელი, ეფ. მესხი, პიერეტტა, ტანელი, ყანჩაველი, ყოჩიშვილი, ო. ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, ნ. გოცირიძე, ძელიკურაშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ს. თავდიშვილი, ამბ. ივერელი, ა. კავსაძე, კავაძე, ალ. მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, სტურუა, რ. სალაყაია, ლ. სამადაშვილი, ყარსიმაშვილი, გ. ფრონისპირელი, კ. ყიფიანი, ალ. შანშიევი, მ. ქიაურელი, ქუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და

აგრეთვე თანამშრომელთა გაძლიერებული ჯგუფი.

ადგილების ფასი 20 კ. 3 მანეთამდე. **დასაწყ. სალ. 8 ს.**

1034 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ ჭანკვეტაძე.** ,,წრის'' ადმინ.

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრებს, რომ **მეორე**

საზოგადო წლიური კრების

გაგრძელება დანიშნულია ამა წლის **10 მარტს, კვირას,** შუადღის 12 ს.

განსახილველი საგნები:
1) წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევა.
2) არჩევა ორი მამასახლისის მოადგილესი. 1092

დღეს, 9 მარტს, თავად-აზნ. დეპუტ. საკრებულოს დარბაზში
(ბელინსკის ქუჩა, სახლი № 2)

მოხდება **ჩვეულებრივი კრება**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების წევრთა.

საზოგადოების წევრი ბ-ნი **დავით კასრაძე** წაიკითხავს მოხსენებას:
„მშვენიერება ხელოვნებაში". 1012
დასაწყისი სად. 8 საათზე.

ახალი კლუბი
შაბათს, 9 მარტს,

საოჯახო საღამო
დირიჟორ ს. ი. პრესმანის საბენეფისოდ
თეატრში

შესდგება სიმფონიური კრება

ანატოლ მიკულის მონაწილეობით.

დაწვრილებით პროგრამებში. 1092

— ავლაბრის თეატრი მეზუროვისა —
(ყოფილი არაქსიანისა).

კვირას, 10 მარტს, ხარფუხ. ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ ქ-ნ **ნ. დავითაშვილისა და ვასო აბაშიძის** მონაწილეობით

= რეჟისორის ს. პეპანოვის საბენეფისოდ =

წარმოდგ. იქნება **უდანაშაულოდ დასჯილნი**

კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. მაჭავარიანისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი **დავითაშვილისა,** მეხუზლასი, ზარდალიშვილისა, კავთელი, ძუძა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გორდაძე, მეხუზლა, მაისურაძე, ფირუმიანი, პეპანოვი, შათირიშვილი და სხვა. ◆ **დასაწყ. სალ. 8 ს.** ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში სად. 5—7 ს.

მორიგი გამგ. წევრი **ა. შათირიშვილი.** ადმინ წრისა. რეჟის. **ს. პეპანოვი.** 114

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 10 მარტს, სახ. სახ. არსებულ ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ დამსახ. მსახიობ ქ-ნ ელ. **ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ხანუმა
ვოდ. 4 მ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი იფხაზიშვილი, ა. კორინთელი, პიერეტტა, **ელ. ჩერქეზიშვილი, ელ.** ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, **ილ.** ზურაბიშვილი, **ალ.** მეტრეველი, ვ. ნინიძე, გ. ფრონისპირელი, დ. ჩიქოვანი. ◆ ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 **ს.** და სად. 6—8 ს. ადგ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. სად. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ ჭანკვეტაძე** ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმ.

ანონსი: შემდეგი წარ. 14 მარტს სახაზინო თეატრში ,,ლალატი''.

26 მარტს, **გ. ჯაბაურის** 20 წ. სახ. სცენაზე მოღვაწეობის იუბილე. გაიმართ. წარმ. 1034

ახალი კლუბი
სამშაბათს, 12 მარტს,

საოჯახო საღამო

საოპერეტო არტისტების მიერ დადგმულ იქნება

„მწვანე კუნძული"

3 მოქმ. ოპერეტა მუსიკა ლეკოვისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი კოლაროვისა, ფონ-შლმანი, ერნი; ბ-ნნი ვალერიანოვი, ევგენიევი, მამინი, ლვოვი, საბინი, ტორსკი.

რეჟისორი **ვ. გ. ვალერიანოვი.** დირიჟორი **ს. ი. პრესმანი.**

კლუბში შესასვლელად კაცები იხდიან 1 მან. ქალები—50 კაპ. სტუდენტები 25 კაპ. თეატრში ადგილების ფასი —2 მანეთამდე. ქანდარაზე—30—10 კაპეიკამდე. ქანდარაზე შესვლა ყველას შეუძლიან. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** 1092.

დილის 9—10 ს. ღარიბები'ა მიიღება უფასოდ.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და სად. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოლაკი** ზუბოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე) 97

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მსოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი** ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი** გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი** ე. ვ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი** ვ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქ-შვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი** რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და [illegible] სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა** ლ. (ყოველ დღე) 11—12. **თაყაიშვილი** ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. **ხუნდაძე** ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი** ე. ვ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**ვეძევანიშვილი** მ. ა. (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი** ნ. ნ. (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი**, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი** ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი** ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.
თვალ. სნეულ.	**მუსხელიშვილი** გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე** ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტაციუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. ჭ. 1035

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 3, ს. გაბაშვილისა.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ჭ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. ჭ. 1022

ვაკზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე; შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა შესარჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი [illegible]

წამლობა ,,606 1053

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე [illegible]

ექიმი **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. იღებს ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, აა ფოსტ. განყოფ. აიოდაპიო. 102

ახალი ამბავი
ტფილისი

◆ **მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის ავადმყოფობის გამო.** 7 მარტს, ღამით, მეფის მოადგილეს ცოტა ეძინა. მაჯის-ცემა ჰქონდა 54—60 წამში, სუნთქვა 26—32 წამში. სისუსტე გრძელდება.

გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე, ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის თაოსნობით, სახალხო სახლში პარაკლისი გადაიხადეს მეფის მოადგილის ჩქარა განკურნებისათვის. პარაკლისს დაესწრნენ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი, საქალაქო სკოლების მოსწავლენი და სხვ. პარაკლისის შემდეგ ქალაქის მოურავმა მეფის მოადგილის მეუღლეს დეპეშა გაუგზავნა.

10 მარტს წირვის შემდეგ სამხედრო და სიონის საკათედრო ტაძრებში პარაკლისს გადაიხდიან მეფის მოადგილის ჩქარა განკურნებისათვის.

◆ **ილიას ძეგლი.** ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობას აზრად აქვს, ილიას ძეგლის კურთხევა აპრილის შუა რიცხვებისთვის დანიშნოს. გუშინ გამგეობამ ინჟ. ვ. მამრაძეს წერილობით წინადადება მისცა, დამთავრებული ძეგლი დროზე ჩააბაროს.

◆ საქართველოს საეგზარხოსის მონასტრების ბლაღოჩინს არქიმანდრიტს ნაზარის განუზრახავს, აღადგინოს ძველი დიდებული ნაშთი **წმ. სამების საქათალიკოსო ტაძარი** (სოფ. ხაშმში, ტფ. მაზრა). შესაფერი ნებართვა უკვე მიუღია საქართველოს ეგზარხოსისაგან. არქიმ. ნაზარის გამოანგარიშებით ტაძრის აღდგენა 1000 მან. დაჯდება, რომელ თანხის შესაგროვებლადაც ხელის-მოწერა გაიმართება. ამას გარდა არქ. ნაზარი აპირობს, მიმართოს სათანადო ქართულ დაწესებულებათა და საზოგადოებათ, რათა თავისი წვლილი გაიღონ ამ საქმისთვის.

◆ უწმ. სინოდმა ამას წინად 1000 მან. გადასდო საქართველოს საეკლესიო საქიროებათათვის. ეგზარხოსმა განკარგულება მოახდინა, რომ ეს ფული **ახტალის მონასტერზე** გუმბათის დადგმას მოახმარონ.

◆ კვირას, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს ხმოსნები **საბურთალოსა და ვაკეზე** დაათვალიერებენ იმ ადგილებს, რომლის მოწესრიგება და გეგმა მოკლე ხანში არის განზრახული.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 1500 მან. გადასდოს საქალაქო აფთიაქის შენობის შესაკეთებლად, რომელიც ახლა იჯარით აქვს აღებული ფარმაცევტთა ამხანაგობას.

◆ პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებული **ქალაქის მოურავი** ა. ი. ხატისოვი ქალაქის საბჭოს 11 მარტის კრებას მოხსენებას წაუკითხავს თავის მოგზაურობის შესახებ. მოურავი ყოფილა სხვა-და-სხვა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებაში და დაწვრილებით ცნობები შეუკრებია ტფ. ქალაქის თვითმმართველობის იმ საქმეებისა და შუამდგომლობათა შესახებ, რომელიც იქ არის.

◆ **საბირჟო ცნობები:** 8 მარტს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 90 კ., აძლევენ—85 მან. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მ. 60 კ., აძლევენ—82 მ. 10 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—77 მ., 50 კ. აძლევენ—77 მან.

◆ ამ დღეებში ელექტრონით გაანათებენ ოლღას ქუჩასაც.

◆ **ტრამვაის** დირექცია ქალაქის საბჭოს დადგენილების ძალით მოვალეა ტრამვაის ვაგონთა ახლანდელს რიცხვს ხვალიდან 29 ახალი ვაგონი მოუმატოს. რამდენადაც გავიგეთ, ტრამვაის დირექციამ დღემდე მხოლოდ 6 ახალი ვაგონი მიიღო. ვაგონთა რიცხვი ხვალ სულ 130 უნდა იყოს.

◆ ქალაქის საბჭოს **სატეხნიკო და საადგილ-მამულო კომისიის** წევრნი მომავალ ოთხშაბათს ლოტკის გორაზე ახვერდოვისა და კვესის მიწებს დაათვალიერებენ.

◆ ამას წინად გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, **ქალაქის თვითმმართველობის სამიწის-მზომელო განყოფილების** ერთს დიდს მოსამსახურეს ბოროტ-მოქმედებანი ჩაუდენია. ამ ცნობების მოთავსებისათვის ქალაქის გამგეობის მიწისმზომელმა მელიქ-ალახვერდოვმა სამართალში მისცა შემდეგი გაზეთები: „ზაკავკაზსკაი რეჩ"-ი, „ზაკავკაზიე" და „ბაკუ". უჩივის ცილის დაწამებას.

◆ რადგანაც ტფილისში საკმაოდ დათბა და შენობების აგების დაწყების დრო დადგა, ამიტომ ქალაქის გამგეობას საბურთალოსა და ვაკეს მცხოვრებნი ყოველ-დღე ჯგუფ-ჯგუფად სთხოვენ შენობების დაწყების ნებართვას. გამგეობა ნებართვას ვერ აძლევს, რადგანაც ვაკეს და

ეკატერინე ივანეს ასული შარიევისა, ოლღა ზაქარიას ასული და **ნიკოლოზ ფარნაოზის ძე კარახანოვები** შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის საყვარელის—ქმრისას, მეორის ძვირფასის და დაუვიწყარის—მამისას და მესამეს დაუვიწყარ—სიმამრისას.

ზაქარია რამანის ძის შარიევისას.

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ (სლეპცოვის შესახვევიდან № 5) კვირას, 10 მარტს, დილის 9½ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 38

საბურთალოს დაგეგმის პროექტი ჯერ შედგენილი არა აქვს.

◆ დღეს ქალაქის გამგეობა გადასწყვეტს, ვის მიანდოს ზუბალაშვილის სახელობის **საბავშვო საავადმყოფოს** ახალ შენობის მოწყობა.

◆ წარსულ საუკუნის მეოცდათე წლებში, მაშინდელმა მეფის მოადგილემ თ-მა გ. ს. ვორონცოვმა ვერაზე გლეხებს მიწები აჩუქა. ამ ნაჩუქარ მიწებზე დასახლდნენ გლეხები და 1891 წლამდე უდავიდარაბოდ სცხოვრობდნენ. ამ წლიდან კი მიწების თაობაზე გლეხებს დავა აუტეხეს ალ. მელვინოვმა და ალ. ცაბაძემ. დავამ 1906 წლამდე გასტანა. ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში საქმე გლეხების სასარგებლოდ გადასწყვიტეს. ახლა კი, გაურკვეველია რა გზით და რა საშუალებით, ამ გლეხების მიწები მელვინოვსა და ცაბაძეს არამიანცისათვის მიუყიდნიათ, რომელიც მათ აყრას უპირებს. ამ გლეხების წარმომადგენლებმა დ. ნუცუბიძემ, ივ. ქიშკარიანმა და ალ. ძესხიშვილმა მეფის მოადგილეს მიჰმართეს, მოსარჩლეობა გაგვიწიეო. მეფის მოადგილემ ამ საქმის თაობაზე ცნობების შეკრება ტფ. გუბერნატორს დაავალა და თან განკარგულება მოახდინა, რომ საქმის გამორკვევამდე არამიანცის მიერ აღძრული საქმე ამ გლეხების აყრისა, შეაჩეროთ („კავკაზი").

◆ **მასწავლებელ-ქალთა თავშესაფარი,** რომელსაც საბურთალოზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირას აგებენ, თითქმის დამთავრებულია. აკლია შიგნით შეკეთება და სახურავი. შენობა ორ-სართულია, შეიცავს 11 ფართო, ნათელ ოთახს, საერთო დარბაზს და სასადილოს. აზრი თავშესაფარის დაარსებისა ტფ. მასწავლებელ-ქალთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ 1899 წელს აღიძრა და შენობის დაწყება მოსახერხებელი გახდა მხოლოდ შარშან, რადგანაც საზოგადოებას საჭირო ფული არ მოეპოვებოდა. საზოგადოებამ შენობის აგება დაიწყო შეგროვილ ფულით (9,781 მან. 54 კ.). შენობის ადგილი 1895 წელს შესწირა თ. ბ. კაიდანოვისამ. შენობის გარშემო ამ ჟამად კოპწია ბაღს აშენებენ: მუშაობენ კვირე-უქმე დღეებში ავლაბრის საბავშვო სასადილოს ბავშვები ქ-ნ როოპის ხელმძღვანელობით. რადგანაც შენობის დასამთავრებლად საჭიროა კიდევ 2,000 მან., მეფის მოადგილის მეუღლის გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით შემდგარია საგანგებო კომიტეტი, რომელიც ამ საქმისთვის შეწირულებას იღებს. იმედი აქვთ, რომ შენობა აპრილის ბოლო რიცხვებში დამთავრდება, თუ საზოგადოება არ დაიშურებს იმ მცირე ფულის შეწირვას, შენობის დასამთავრებლად.

◆ **ქალაქის გამგეობის ნივთიერ განყოფილების** გამგემ ნ. ჯარამურზამ ქალაქის გამგეობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა. განყოფილება 1912 წლის 1 ივლისიდან მოქმედებს და მისი დანიშნულება და სარგებლობა ჯერ კიდევ არ არის დაწვრილებით გამორკვეული. ბ-ნი ჯარა-მურზა აღნიშნავს, რომ, რადგანაც ქალაქის კანტროლი (ორის წლის წინად დაარსებული) თავის დანიშნულებას კარგად ვერ ასრულებს და მისი სრულიად გაუქმება საჭიროა, ნივთიერ განყოფილებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო. იგი მოითხოვს ნივთებისა და საქონლის საერთო საწყობის დაარსებას, სადაც კანტროლის საქმე წესიერ კალაპოტში უნდა იყოს ჩაყენებული. საწყობის აგება მოითხოვს ერთდროულად 10,000 მ., ხოლო ყოველწლიურს 11,200 მ. კანტროლის ზოგიერთ თანამდებობის გაუქმების შემდეგ, მთელი განყოფილება გამოიწვევს ყოველ-წლიურად 8,000 მან. ზედმეტს ხარჯს ახლანდელზე; სამაგიეროდ შემოსავალიც იმატებს. ამ განყოფილებას წლიური ოპერაცია 500,000 მან. იქნება, აქედან 10% ნაღდი ეკონომია იქნება—50,000 მან., რომელსაც ზედმეტი ხარჯი 8,000 მან. რომ გამოვაკლოთ, 42,000 მან. ყოველწლიურ ეკონომიას მიიღებს ქალაქი. ქალაქის გამგეობა ამ მოხსენებას ამ დღეებში განიხილავს.

◆ ბ-ნ გედეონმა სომხურიდან ქართულად სთარგმნა **შირვანზადეს** 4 მოქმედებიანი დრამა **„ნამუსი"**. ეს პიესა სცენაზე დასადგმელად უკვე ნებადართულია.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ** უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: მოიწვიოს 17 მარტისთვის საზოგადოების წლიური კრება, რომელიც განიხილავს 1912 წლის ანგარიშს, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას და აირჩევს თანადებობის პირთ.

საზოგადოებას კარგა ხანია აქვს ქართული და რუსული საანბანო სკოლები, სადაც მსურველთ ყოველღე საღამოობით ასწავლიან. ორი კვირაა, საზოგადოების გამგეობამ მოაწყო მუდმივი კურსები რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენაზე. იმართება საუბარი სხვა და სხვა საგნებზე ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. კურსები მოთავსებულია ვერის მეორე საქალაქო სკოლის შენობაში. საუბარი თვითეულ ენაზე ორ-ორ საათს გრძელდება. კურსებზე ქართულ საუბრებს 50 მსმენელი ესწრება. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ქალებიც არიან.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასთან შესდგა 12 კაცისაგან ოსური სექცია, რომელმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ოსურ საანბანო სკოლას. ამ სექციის დაარსების ამბავი გუშინ საზოგადოების გამგეობის თავჯდომარემ ვ. ი. რცხილაძემ ოფიციალურად მთავრობას აცნობა.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** საბჭოს კრებამ 6 მარტს დაადგინა: დაამზადოს საზოგადოების მოქმედებისა და საფინანსო ანგარიში და 25 მარტს წლიურ კრებას წარუდგინოს. იმავე კრებას წარედგინება მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ნავარაუდევი 22,000 მან. საბჭომ მოისმინა თ-დ კ. მ. ამირაჯიბის ანგარიში ავლევის საჩილანგრო და სადურგლო სახელოსნოსი, რომელიც დაარსა თ-დმა ამირაჯიბმა და რომელსაც სამეურნეო საზოგადოება შარშან 1000 მან. დაეხმარა. საბჭომ ანგარიშები წესიერად ნაწარმოებად სცნო. საბჭომ დაადგინა, ეთხოვოს თ.-ა. დეპუტატთა საკრებულოს" რათა ყოველ-დღიურ ხარჯების გასასტუმრებლად საბჭოს ავანსად ფული მისცეს იმ თანხიდან, რომლითაც საკრებულო ყოველ-წლივ შემწეობას აძლევს ხოლმე საზოგადოებას. შარშან საკრებულომ საზოგადოებას 8,000 მან. მისცა. წელს 17,000 მან. თხოულობს. საბჭომ განიხილა წინადადება საადგილ-მამულო კომისიისა, რომელსაც საზოგადოებისათვის მიყიდვა სურდა ქავქავაძისეულ მამულისა, ზომით 3 დეს., სოფელ ყვარელში. საბჭომ მამული გამოუსადეგარად იცნო სამეურნეო საზოგადოებისთვის. შეკითხვა საადგილ-მამულო კომისიისავე: მიეცეს თუ არ შემწეობა ახაშნის (ქიზიყი) მომხმარებელ საზოგადოებას, საბჭომ გადაუწყვეტელი დასტოვა და ამ საგნის გამორკვევა საბჭოს საკოოპერატივო სექციას მიანდო. საბჭოს მოხსენდა, რომ საზოგადოებამ უკვე საბოლოოდ შეისყიდა თ-დ ი. სპ. ჭავჭავაძისაგან მუკუზანის მამული და შესაფერი პირობაც დასწერა.

ქუთაისი

◆ **მესხიშვილის იუბილესთვის** ჩვენი ქალაქი ემზადება. აღარც დილისა და აღარც საღამოს ბილეთები აღარ იშოვება. გუშინ კრება ჰქონდა საიუბილეო კომიტეტს. ზოგიერთებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ იუბილარი თეატრის წინ, ქვაფენილზე, ამაღლებულ ადგილს დააყენონ და აქ შეეგებონ და ადრესები მიართვანო. ეს აზრი უხერხულად სცნო კომიტეტის შემადგენლობამ, დილაც და საღამოც თეატრის დარბაზში უნდა მოეწყოს.

◆ 5 მარტს ღამით **გასტეხეს ელუაშვილის ფართლის სავაჭრო** და გაუტანიათ სამას თუმნათ ღირებული საქონელი. გამცარცველების კვალს ვერ მიაგნეს.

◆ მ. შ. ჯაფარიძეს რუსულათ უთარგმნია **დ. კლდიაშვილის** მოთხრობა — „სამანიშვილის დედინაცვალი".

◆ ადგილობრივ **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას** განუზრახავს ჩვენი მეფეების, მთავრების და ძველი მოღვაწეების სურათების შეძენა, გადიდება დ მომავალ მუზეუმში დაკიდება. უკვე შეუძენიათ სურათები მეფე გიორგი XII-სა, მიხეილ შარვაშიძისა, დიმიტრი ყიფიანისა, კონსტანტინე დადიშქელიანისა, ანტონ კათალიკოზისა, გაიოზისა და სხვა. გამგეობას განუზრახავს აგრეთვე შეკრიბოს სასიქადულო მამულიშვილთა ნაქონი ნივთები და ამ ნივთების კოლექცია რიგზე მოათავსოს მუზეუმში. ამ მიზნით მიუმართავთ ზოგიერთ მოღვაწეთა ჭირისუფლებისთვის დ ნაცნობნათესავებისთვის — ასეთი ნივთები გადასცენ გამგეობას და საზოგადო განძად გახადონ.

◆ **ქუთაისის ეპარქიის სამრევლო სკოლების შესანახად** 1912-ს წ. ანგარიშში საბჭოს მოუვა 9000 მანათი, რომელიც დაურიგდება მასწავლებლებს. მოსალოდნელია, უჯამაგიროთ აღარავინ დარჩეს და ვისაც მცირე ჯამაგირები აქვს იმათაც მიემატოს.

◆ **სოხის ინტელიგენციამ** აირჩია კომიტეტი **მესხიშვილის** იუბილეს მოსაწყობად. გადასწყვიტეს მესხიშვილს იუბილე [illegible] გადაუხადონ.

◆ **ფოთიდან ჩამოვიდა ქალაქის დეპუტაცია:** ს. ქოქუა, გ. საბახტარაშვილი, კ. გაბუნია და ერ. ბოლქვაძე დეპუტაცია გუშინვე იახლა გუბერნატორს და სთხოვა აღესრულებინა დაპირებული დ დაემტკიცებინა ქალაქის თავათ არჩეული თავ. აფაქიძე და საბჭოს წევრი შანიძე. გუბერნატორმა სენატის განმარტების გამო დეპუტაციას თხოვნაზე უარი უთხრა. სამაგიეროდ აღუთქვა, რომ მოახდენს საგუბერნიო საკრებულოს სხდომას და ფოთში დანიშნავს ახალ არჩევნებს.

◆ წვანეყვავილას უბანში 6 მარტს, ღამით, ბოროტ გამზრახველებმა **ყუმბარა ესროლეს** ებრაელ დავით თარონიშვილის სახლს. სახლში მყოფნი უვნებლად გადარჩნენ, რადგან ისინი, ამ დროს თურმე ქვემოსართულში ვახშმობდნენ, ყუმბარა კი ზემოსართულში გამსკდარა დ შენობისათვის რამოდენიმეთ ზიანი მიუყენებია. ასეთ თავგასულობას ქუთაისში ბოლო არ ელება, ასეთი საქციელი რამდენჯერმე განმეორდა ამ მოკლე ხანში, მშვიდობიან ებრაელ მოქალაქეთ მოსვენებას არ აძლევენ ნაძირალები, საჭიროა ასეთი პრავაკატორ-შანტაჟისტების წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღება.

◆ ქუთაისის გუბერნიის ინსტრუქტორი **იანე ბლოკი** სოხუმის ოლქში გადაიყვანეს. მის მაგიერ ქუთაისის გუბერნიაში დაინიშნა **რევაზ გედევანიშვილი.**

◆ **ფოთის ქალაქის გამგეობამ** აცნობა ქუთაისის ქალაქის გამგეობას, აქვს თუ არა მას დაწესებული რაიმე გადასახადი დამბაზე დასაწყობათ მდ. რიონით შემოსულ ხე-ტყეზე, შეშაზე და სხვებზე და თუ არის ასეთი, რამდენია და რა მოსაზრებით არის დაწესებული.

◆ **ინგლისელ კაპიტალისტების ერთ ჯგუფს** განზრახვა აქვს, შეიძინოს ქიათურაში რამოდენიმე ასი დესიატინა შავქვიანი ადგილები. ისინი უკვე ჩამოვიდენ ქუთაისში და სთხოვეს ბ. უზნაძეს ამის შესახებ დაამზადოს გეგმა და ცნობები.

◆ ქალაქ ვლადიმირის საკატორღო სატუსაღოში, **კატორღელმა აბიძემ** თავი ჩამოიხრჩო.

◆ წარსულ კვირაში, ფოთიდან გზად მომავალს კავკასიის გზის უფროს დაუხვდა **ს. იანეთისა და დიდი ჯიხაიშის დეპუტაცია.** დეპუტაციამ სთხოვა იქ არსებული იანეთის ბაქანი გადაკეთებულიყო სადგურად. რკინის გზის უფროსმა დეპუტაციას აღუთქვა თხოვნის დაკმაყოფილება.

სოფლად.

◆ **ს. იანეთში** განზრახულია დაარსონ უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო. წვრილი კრედიტის ამხანაგობამ ამისთვის 64 მანეთი გადასდო. ამ ფულით გამოიწერეს ხუთი სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთი.

◆ **ს. ბუკისციხის წვრილი კრედიტის ამხანაგობამ** 10 მანეთი გადასდო გურიაში განზრახულ აგრონომ-ინსტრუქტორის მოსაწვევად. ეს ამხანაგობა გასულ წლის ოქტომბრის რიცხვებში დაარსდა. ამხანაგობის საქმე კარგად მიდის. პირველად ამ ამხანაგობაში ჩაეწერა 34 წევრი, ეხლა კი 124 წევრი ჰყავს.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ „ბალკანეთი და ომში" შეცდომით არის დაბეჭდილი: **გადაიხადეს საგანგებო პარაკლისი** და სხვა. უნდა იყოს გადაიხადეს საგანგებო **პანაშვიდი.**

ქართ. საისტორიო-საეთნოგრაფ. საზოგადოების

წევრთა კრება*)

„ამაზონელების გარეშე ცხოვრების შესახებ მომხსენებელმა ბევრად უფრო მეტი ცნობები მოიყვანა. ამაზონელები მუდამ ომობდნენ მეზობელ ერებთან. ომებს აღმოუფხვრიათ იგინი ისტორიიდან, მაგრამ სანამ ეს ასე მოხდებოდა, ბევრი ერი დაუმონავებიათ და თავისი საშინელი სახელი შორს გაუვრცელებიათ.

დიოდორე ასე გადმოგვცემს: ერთი მეფის ქალი, რომელიც თავიდანვე ყოფილა განთქმული, როგორც ძლიერებით ისე სარდლობის ნიჭით და ჭკუით შეუდგენია ქალთა ჯარი და დაუწყვია მეზობლებთან დავა და მათი დარბევა. რამდენიმე გამარჯვების შემდეგ იგ სრულიად გათავხედდა, მოსვენებ აღარავის აძლევდა, თავის თავს მა სის ქალს უწოდებდა. ომიანობი დროს თავისი ჯარი კიდევ უფრ კარგად გაწვრთნა და სამეფოს საზღვრები ძლიერ გააფართოვა. მისი მემკვიდრე — მისი ქალი — ზოგიერთი თვისებებით კიდევაც აჭარბებდა დედას, რადგანაც დედა ბავშვობიდანვე ავარჯიშებდა მას ნადირობაში და ომში. ამან სამეფოს საზღვრები თითქმის თრაკიამდე გასწია. დიდი ნადავლით ბრუნდებოდა ომიდან და დიდებული ტაძრები აუგო მარსსა და არტემიდის. დამორჩილებულ ერებს იგი მოწყალებით და სამართლიანად ეპყრობოდა. ამიტომ უკანასკნელთა შორი მას მეტად კარგი სახელი ჰქონ ბოლოს აზიაშიაც გაილაშქრა საზღვრები უკვე სირიამდე მიიყვან მისი მემკვიდრე ქალებიც გახაგრძობდნენ მის საქმეს, სანამ ერეკლეს არ გამოულაშქრა მათ წინააღმდეგ და არ შეასუსტა მათი სამეფო.

დიოდორე არ ასახელებს ვინ იყვნენ ეს ქალ-მეფეები, მაგრამ, რადგან მის მოთხრობას, როგორც ქვევით მოყვანილ იუსტინეს მოთხრობას ერეკლეს ლაშქრობამდის მივყევართ, ამიტომ ორივეს ეს ამბავი ერთსა და იმავე ხანას და ერსა, იმავე პირებს უნდა ეხებოდეს, მომხსენებელი აზრით.

იუსტინეს გადმოცემა ამაზონელი ისტორიის შესახებ ასეთია: ორ მათმა მეფემ მარპესიამ და ლამპედიმ ორად დაჰყვეს ჯარი: ეწეოდნენ გარეშე ომებს და იცავდნენ სამშობლოს (როცა ერთი გარედ ომობდა, მეორე თავის ჯარით მამულს იცავდა). ესენი მარსის ქალებად აცხადებდნენ თავს, რომ უფრო მეტი პატივი გამოეწვიათ მეზობლებში. ამათ დაიპყრეს ევროპის დიდი ნა წილი და აზიის რამოდენიმე სახელმწიფო. მას შემდეგ რაც ეფესი და სხვა მრავალი ქალაქი დაარსეს, ერთი ნაწილი ჯარისა უზომო ნადავლით სახლში დაბრუნდა, სხვები კი მარპესიასთან ეფესთან ერთად აქ დარჩნენ და ბარბაროსებთან ბრძოლის დროს დაიღუპნენ. ამაზონელების მიერ ქალაქების დაარსების შესახებ ძველ ნაწერებში ხშირად მოიპოვება ცნობები. და საყურადღებოა ისა, რომ ბ-ნი ტოპფერის რწმუნებით, ყველგან, სადაც ამაზონელებს ქალაქები უნდა დაეარსებინათ, ადგილობრივ მართლაც არსებობს შესაფერი გადმოცემა ამის შესახებ. თვით ამაზონელთა უმთავრეს ქალაქად **თემისკირა** (შეიძლება **თემისკერა**) იხსენიება. შემდეგ იხსენიებიან: ამაზონიუმი, კომანა, ამაზია და სხვა.

ჰერაკლეს ლაშქრობის შესახებ ამაზონელების წინააღმდეგ, მომხსენებელმა ასეთი რითი მოიყვანა: ჰერაკლეს თორმეტ საგმირო საქმ ბში ყველაზე საძნელო ამაზონ თა დედოფლის სარტყელის მო

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 840.

საზოგადოებრივი ჰანგები

დავ. კლდიაშვილის თხზულებებში

(დასასრული *)

მიქელა გიორგაძემ სულ მოკლე ხანში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლ-შვილიანად; შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი მაია. მოხუცებული ამ შვილიშვილებში ხედავდა ოჯახის მომავალ მშვიდობიანობას და **„თვისი გამწარებული სულის მომვლელთ მისი სიკვდილის შემდეგ"**. მაგრამ მოულოდნელად ავად გაუხდა უფროსი შვილიშვილი სპიდონა. მაიამ თავისი პატარა ნესტორა მაზლის წულის ავად გახდომის დღესვე თავის სახლს გადახიზნა. სიკვდილის პირს მიმდგარმა სპიდონამ მოიხედა, მაგრამ მოხუცებული მაინც ვერ ანუგეშა. მან გამოუცხადა ბაბუას საიქიოს ყოფნა, მაგრამ „რადგან ჯერ ჩემი იქ წასვლის ბორჯი არ მოსულა, ამიტომ ერთი წლით უკან გამომაბრუნესო". ამის შემდეგ მიქელამ სულის სიმშვიდე სრულებით დაჰკარგა, იგი სრულიად გამოიცვალა, სრულიად გადასხვაფერდა. ეხლა მთელი მისი იმედი პატარა ნესტორაზე იყო დამყარებული და ისიც ამით ცოცხლობდა. „ამოკვეთის, ამოწყვეტის შიშმა, შიშმა, რომ **ამდენ მიცვალებულთ სულის მოსამსახურედ ოჯახში აღარავინ დაურჩესო**—გაურბინა თავში მიქელას და მოხუცებულს უცნაურად დასცეცხლა"*). დიდი ფიქრის შემდეგ მიქელამ გადასწყვიტა ნესტორის ბებია-ბაბუის რჩევით „სახლის გაწმენდა და ძველ ნამოსახლეზე გადატანა", რადგან გაუწმენდელი სახლი და ახალი სამოსახლო „მავნეულობის ბუდედ" მიაჩნდა. „შეიძლება სახლის გადატანაზედაც რამე **მავნებლობა შეგეპარათ** და დაბუდებული იყვეს შიგ... სახლის გაწმენდა გაგანთავისუფლებს—ეუბნება მეზობელი გაბრიელ მიქელას:—აბა რა, კუდიანი თქვენს გვარშიაც არავინ ყოფილა და ბოროტი სული... საიდანაა ამდენი ცოდვა თქვენს თავზე?!"

სანამ სახლს ასუფთავებდნენ, სპიდონა კარავში მოათავსა მიქელამ. აუტანელი ტანჯვა-წვალება გამოიარა უბედურმა ავადმყოფმა. ბოლოს ერთს ცივ შემოდგომის ღამეს, ძლიერი წვიმის დროს მოვარდნილმა ადიდებულმა ნიაღვარმა წალეკა წნელის კარავი, და სპიდონაც სიცოცხლეს გამოესალმა. მისი გვამი მეორე დღეს ქვებსა და ქვიშა-ტალახში იპოვა მოხუცმა მიქელამ და მარტოდ-მარტომ მიწას მიაბარა იგი.

ასე მოკლედ და სადად გადმოცემული ბევრს არაფერს ეტყვის მკითხველის გულს, რაც უნდა მგრძნობიარე იყოს. რომ ამ საშინელმა „ამბავმა" ჯეროვანი შთაბეჭდილება დასტოვოს, საჭიროა თვით ნაწარმოების წაკითხვა.

მიქელა გიორგაძე ნამდვილი წარმომადგენელია იმერელი ცრუ-მორწმუნე და თანაც **სულის ცხონებისათვის მზრუნველ გლეხობისა.** მოხუც მიქელას თავისი დღე ავად თუ კარგად გაუტარებია და ეხლა სიბერისას მხოლოდ სულის ცხონებისათვის ზრუნვა დ ფიქრი გაუხდია სიცოცხლის მიზნად. მიქელამ მხნედ გადაიტანა თითქმის მთელი ოჯახის ამოწყვეტა მხოლოდ იმ იმედით, რომ პატარა ნესტორა მაინც დარჩა სულის მომხსენებლად. სპიდონას იმედი აღარ აქვს მიქელას. მას სწამს, რომ მისმა შვილიშვილმა მართლაც მოიარა საიქიო და მხოლოდ ერთის წლით არის იგი გამობრუნებული ამ სოფლად. მოთხრობიდან არ ვიცით, რამ ამოუწყვიტა მიქელას მისი სამი ვაჟიშვილი, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მას მეზობლები არ ეკარებოდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ მის ოჯახში რაღაც მძვინვარე სენი დაბუდებულა. ასეთ ავადმყოფობად დიდი ხანია მიჩნეული იყო ჩვენში ჟამი და ხურება, მაგრამ ეს უკანასკნელი თავზარდამცემი ღვთის რისხვასავით ევლინებოდა ხალხს. ხურებიანის მორჩენის იმედი თითქმის არასოდეს არა ჰქონიათ და ამ სენით შეპყრობილთ დღესაც ძლიერ ერიდებიან. ზოგიერთს მივარდნილს სოფელში, სადაც სამკურნალო დახმარების აღმოჩენა, სხვა და სხვა მიზეზების გამო, შეუძლებელი ხდება, „გადადებულის", არა მოსარჩენის ავადმყოფისათვის ზრუნვაზე ხშირად ხელსაც იღებენ და ხანდახან კიდეც გადაიყვანენ ხოლმე კარავში სადმე მოშორებით. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ყოველი ასეთი მოპყრობა დაავადმყოფებულისადმი ჭირისუფლის უგუნურობა-შეუგნებლობისა და მის უკულტურობისაგან გამომდინარეობს. უმთავრესად ასეთსავე უკულტურობის ნაყოფია ბოდვა სიცხეში გახვეული ავადმყოფისა, რომელსაც თვალწინ ეხატება **ათასჯერ გაგონილის ზეგავლენით საიქიოს ცხოვრების სურათი.** მას წამდაუწუმ ელანდებიან მიცვალებული ნათესავ-ნაცნობები დ „გამოხედვისას", „მოჯობინების" დროს ისიც უამბობს მის მიერ „ნანახსა" და გაგონილს თავის მშობლებს და გარეშე მნახველთაც. ამათაც გულუბრყვილოდ სჯერათ გაგონილის სინამდვილე დ თავის მხრივ ეკითხებიან თავიანთ მიცვალებულთა ყოფა-მდგომარეობის შესახებ. „მაგრამ ბევრი ვერავინ გაახარა სპიდონამ საიქიოდან მოტანილის ამბით; უმეტესობა გულდაწყვეტილი გაბრუნდა, რადგან სპიდონას, მოკლე ხანს იქ მყოფობაში, ბევრი ვერავინ ენახა და ვინც ენახა, მასთანაც ლაპარაკი არ დასცალდა"-ო, ამბობს ავტორი. სადაც არა ყოფილა არც არა უნახავს-რა, აბა იქიდან რა ამბავს მოიტანდა საწყალი სპიდონა! ვერავინ გაახარა თავისი ნაამბობით სპიდონამ, მაგრამ თითონაც ამ ნაამბობისა და მოუვლელობის მსხვერპლი გახდა. ცრუმორწმუნე მიქელამ სრულებით ხელი აიღო ავადმყოფის მოვლასა და ყურადღებაზე. მან დავრდომილი შვილისადმი სიბრალულის ნასახიც კი არ გამოიჩინა, გულშემატკივარი სიტყვა და გამამხნევებელი ნუგეშიც კი არ გამოიმეტა მისთვის. სულ ერთია, ვადით არის დაბრუნებული, წლის თავზე ისევ უნდა წავიდესო და, თითქოს, მართლაც რომ ასე ყოფილიყოს, ლოგინად ჩავარდნილს მოვლა არ ესაჭიროებოდეს; თითქოს, ვისაც ადრე სიკვდილი მოელის, მისთვის ამ **სოფლად** კეთილი ცხოვრება სრულებით ზედმეტი იყოს. რომ მოსალოდნელი „ამოწყვეტა-ამოკვეთა" თავიდან აეშორებინა, მიქელა შეუდგა „მავნეულობისაგან სახლის გაწმედას" „ჟამ გამოვლილი ალექსი ბოჭორიძის" დახმარებით.

დამშვიდებულად შევიდა მიქელა საცხოვრებლად განწმენდილ სახლში, მხოლოდ ავადმყოფი შიგ არ შეიყვანა იმის შიშით, რომ მისი წყალობით სახლში კიდევ არაფერი „მავნებლობა" შეეტანა. სპიდონა სახლს მოშორებით ნაჩქარევად გაკეთებულს და ჩალით გადახურულს წნელის კარავში მოათავსა მიქელამ. სახლის წმენდით მუშაობაში გართულს მოხუცს სასმელ-საჭმელის მიცემაც კი ავიწყდებოდა ამ საცოდავისთვის. აუწერელს სურათს წარმოადგენს სპიდონას ხანმოკლე, გატანჯულ-გაჯახირებული ყოფა სუსხიანს შემოდგომაზე ამ ცივს კარავში. უქვეშსაგებლოდ, მხოლოდ თხელს საბანში გახვეული და კოკისპირულის წვიმისაგან თავიდან ფეხებამდე გალუმპული მის ხორცის მჭამელსაც კი შეეცოდებოდა იგი. სპიდონის გულ-ქვა ბაბუა კი გაიძახის რძლის საპასუხოდ, რომელიც „ბოვშვის დახედვას" ითხოვს, „არაფერი ცოდვა დაგვედვას" ამ მეორეთ მოსვლის ღამესო: „რაუყო ახლა მე!.. უკმაყოფილებით წამოიბუტბუტა მოხუცებულმა: რა ცოდვა უნდა დაგვედვას? ამ ღამის წერა ყოფილა, თუ რამე მოუვიდა და ისაა"-ო.

როგორც უკვე ვიცით, სპიდონა მართლაც „ამ ღამის წერა" გახდა. ამის შემდეგ მოხუცებულმა უფრო თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან ამოწყვეტის შიშმა განვლო სახლის გაწმენდით და სპიდონას სიკვ ლით.—რამდენად გონება-ბნელ გულქვა და თავის სინდისში ჩაუხე დავი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთხელაც არ დააფიქროს იგი არა ადამიანურმა, მხეცურმა მოპყრობამ თავის მსხვერპლისადმი? ერთხელაც არ გაუღვიძნია მიქელას სინიდისს, ერთხელაც არ ცდილა იგი საცოდავი სპიდონასათვის უდროვო სიკვდილი აეცილებინა, ან შეემცირებინა ენით ის, გამოუთქმელი, ტანჯვა მაინც, რასაც მისი შვილიშვილი განიცდიდა უპატრონოდ დაგდებული შემოდგომის ცის ანაბარა. მართალია, მოხუცს სწამდა, რომ სპიდონა წლის თავზე საიქიოს გაესტუმრებაო, მაგრამ თუ ადრეც მოიშორებდა ამ საში ადამიანს, არც ის ენაღვლებოდ მიქელას სჯეროდა და დარწმუნებ ლიც იყო. რომ მას გაწმენდილ სახლში აღარა უშავდა რა, მაგრამ იგი ადამიანურად მაინც არ მიეპყრო ორი დღით ამ სოფლად მყოფს სპიდონას; მართალია, იგი ადრე გაიძახოდა „უფლის ნებაა ყველაფერი, ყველა მის ნების ქვეშ ვცხოვრობთო", მაგრამ ეხლა აღარ მიენდო მის ნებას, ეხლა მან იმ რწმენასაც უღალატა, რომ სულ ერთია, რაც მოსალოდნელია, მაინც არ აგშორდებაო. ეხლა მასში თავი იჩინა ცოცხალმა ადამიანმა მთელი თავისი ეგო ისტური თვისებებით; აქ გაიღვი საკუთარი სულისათვის მზრუნველ მა პიროვნებამ, რომელიც მარტ ღვთის ნებაზე აღარ არის დამყარებული; იგი შეეცადა ახალ უბედურების შებრძოლებას და სახლიც ამ მოსაზრებით გასწმინდა. სპიდონას დღის

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 840.

*) ხაზი ყველგან ჩემია.

102

ება ითვლება ამ დროს ამაზონელების სახელი იმდენად დიდი და საშიში იყო, რომ ერაკლემ ვერ გაბედა მარტო გამოლაშქრება მათ წინააღმდეგ. ამიტომ მან მთელი საბერძნეთის განთქმულ გმირებს: თეზევსს, თელამონს, პელაუსს და სხვ. მოუწოდა სალაშქროდ. თუმცა ამრიგად ჰერაკლეს საუკეთესო ჯარი შეუდგა, მაგრამ იუსტინეს სიტყვით, მან მაინც ამაზონელებზე ანაზდეულად თავ-დასხმა გადასწყვიტა. გმირებმა გადმოიარეს პაროსი, მიზია და ბოლოს თერმადონზე, თემისკირას წინ გაჩნდნენ. ისტორიკოსი ამბობს, რომ ანდროფს და მის მხლებლებს წარმოდგენა არა ჰქონდათ იმაზე, თუ რას ეპირებოდნენ ბერძნები. ამიტომ, როდესაც საქმე ბრძოლამდე მივიდა, ამაზონელები ბრძოლის ველზე ძლიერ ცოტანი აღმოჩნდნენ და ბერძნებს გამარჯვება ადვილად დარჩათ. ამაზონელებს ისტორია ტროიასთან თავდება, თუმცა სხვაგან კიდევ იხსენიებიან.

ბ-ნმა **სვანიძე** განმარტა: თუ რომ წარმოიშო თქმულებანი ამაზონელებზე ძველთა აზროვნებაში, ან რად დაუკავშირეს ძველებმა მათი არსებობა პონტოს ნაწილს თერმადონტს. ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი ხანია სცდილობენ: იუსტინე, პრიკიპი, სტრაბონი და სხვანი; მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. ამაზონელთა ომები, მათგან ქალაქების დაარსება და სხვა, ეჭვს გარეშეა, რომ ეს თქმულებანი ისტორიულ სიმართლეს შეიცავს, მხოლოდ იმ სახით, რომ ეს ფაქტები მითიურ სახელმწიფოს ისტორიას კი არა, იმ ერის ისტორიას ეკუთვნის, რომელმაც თვით ამაზონელები წარმოშო. ცნობილი მეცნიერის ვილამოვიცის თქმისა არ იყოს, ერი ძნელად სთხზავს მასზე სხვა ერის თავდასხმას (თავდამცემლებად როგორც ათონში, ისე სხვაგანაც ამაზონელები გამოდიან), ამიტომ მისის აზრით ყველა ამ თქმულებებში უსათუოდ უცხო ერების (ბერძნებზე) თავდასხმაზეა ლაპარაკი. რომ ეს ასეა, ამას პლუტარხი და დიოდორეც ამტკიცებენ, რომელთა მოწმობით იმ ადგილს, სადაც ამაზონელებს დაებანაკათ, მათს დრომდისაც შერჩენოდა მათი სახელი. პლუტარხის სიტყვით, მის დროს იმ ადგილებსაც აჩვენებდნენ, სადაც ბრძოლის ველზე დახოცილ ამაზონელების გვამები იყოო დამარხული. სადამდე უწევდა მათი საბრძოლველად განწყობილი ლაშქარი, სად ჰქონდათ მათ ხელჩართული ბრძოლა და სხვა. ყველა ეს უსათუოდ ისტორიულ სინამდვილეზე მიგვითითებს.

რაც შეეხება ქალაქების დაარსებას, ყველგან, სადაც კი ამაზონელებს ქალაქი უნდა დაეარსებინათ, მართლაც ამის შესახებ შესაფერი ხალხური გადმოცემა არსებობდა. ამაზონელები ისტორიული რეალობაა; ესენი ეკუთვნოდნენ რომელიღაც ძლიერს და მეტად მეომარ ერს. ეს ერი მე-XII XIII საუკუნოების შუა თერმადონტზე და მის მიდამოებში სცხოვრობდა. ამ ერს ძლიერი ომი ჰქონია ბერძნებთან.

(შემდეგი იქნება)

მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქც. მიმართ.)

საზოგადოების სხვა-და-სხვა ჯგუფებად დანაწილება სხვა-და-სხვანაირ აზროვნებას იწვევს. ჯგუფთა შორის ბრძოლა სრულებით არ არის სავალალო გარემოება. პირიქით, ცხოვრების თანამედროვე პირობებში, კულტურის განვითარებას აუცილებლად მოჰყვება ჯგუფობრივი ბრძოლის განვითარებაც. ამ ფაქტს მთელი განვითარებული ქვეყნიერება გვიმტკიცებს, მაგრამ ამავე დროს, ესვე კულტურული მდგომარეობა აშკარად ახასიათებს თვით ჯგუფთა შორის არსებულ ბრძოლასაც. ჩვენში არის ჯგუფი, მათ შორის ბრძოლა არსებობს, მაგრამ ჩვენი დაბალი ხარისხის კულტუროსნობა ამ ჯგუფობრივ ბრძოლაში მკაფიოდ იხატება. საკმარისია ვისიმე აზრი ან შეხედულება არ მოიწონოთ, უძლურს უძლური უწოდო, საგანს—საკუთარი სახელი, რომ საზოგადო საკითხი, საგანი განზე გადაიდოს და პირადობას მივარდნენ: შენ უნამუსო ხარ, შენ სულელი ხარ, ან კიდევ: ხულიგანი, რეაქციონერი და სხვა ასეთები.

რუსეთი რომ ავიღოთ, ასეთ კულტუროსნობის გამნაწილებელ მარგალიტებს სრულებით ვერ ნახავთ **მონათესავე** ჯგუფთა შორის. მოგეხსენებათ, რუსეთში არის სხვათა შორის, ორი ჯგუფი: მარქსისტებისა და სახალხო სოციალისტებისა. ამ უკანასკნელი ჯგუფის სულის ჩამდგმელად ითვლებიან ისეთი ღრმად პატიოსანი და სწავლული პირნი, როგორიცაა კოროლენკო, მიაკოტინი, პეშეხონოვი და სხ. ამ ორი ჯგუფის შორის მუდამ ბრძოლა დ კამათი სწარმოებს. პირველი ჯგუფი ეყრდნობა დიალექტიურ მატერიალიზმს, მარქსიზმს, მეორე — იდეალისტურ-სუბიექტიურ მიმდინარეობას ისტორიოსოფიაში. მათ შორის დიდი ბრძოლა და კამათი სწარმოებს თითქმის ყოველ საპოლიტიკო-საპროგრამო საკითხების გარშემო. მარქსისტებს სახალხო სოციალისტების პოზიცია არ მოსწონთ, ისინი უკანასკნელთ პირდაპირ უმტკიცებენ, რომ ს. ს. პროგრამის განხორციელება ცხოვრების განვითარებას ვერ გამოიწვევს, ის ცხოვრებას ერთ დონეზე გარიყავს და ამიტომ ასეთი პროგრამა უნიადაგო და თავისდაუნებლიედ რეაქციონურიაო. რა თქმა უნდა, პეშეხონოვ-მიაკოტინი და მისი ჯგუფი მარქსისტების ამ აზრს ყოველ ლიტერატურულ საშუალებებით ეომებიან, მაგრამ ვერ დაასახელებთ მასლოვის, პლეხანოვის, მარტოვის, ჩერევანინის თუ სხვა მარქსისტების ერთ ნაწარმოებს, ერთ ადამიანს, რომ კოროლენკო-მიაკოტინისათვის ხულიგანი ან რეაქციონერი ეწოდებიოს. მათ შორის ბრძოლა სწარმოებს მეცნიერულ-ფილოსოფიურ ნიადაგზე, პოლიტიკურ-პროგრამულ საგნებზე—მაგრამ არასოდეს საპირადოზე. ჩვენს პრესაში სწორედ რომ პირადული მოტივები იკავებენ პირველ ალაგს და სწორედ ეს ყოვლად უკულტურობა აღვნიშნე „სახალხო გაზეთში“ ამ წინად. იქ ვამბობდი: **„ქართულ გაზეთის ერთ ნომერს** ვერ აიღებთ ხელში, სადაც მოწინააღმდეგეს პიროვნების... აბუჩად აგდებას არა ჰქონდეს ალაგი“-მეთქი. საილუსტრაციოდ ავიღეთ „მერცხალი“ და მისი პუბლიცისტიკა. ამას კი „მერცხალი“ გაუბრაზებია და გვისაყვედურებს: ჩვენ რომ დაგვინახე, სხვას რატომ არ უჩივით რასმესო.

ვაღიარებთ: დასაგმობ საქციელს ჩვენ საყოველთაოდ ვგმობთ და ეს დაგობა ქართულ გაზეთის ყოველ ნომერზე გავავრცელეთ, მაგრამ „მერცხალი“ ავიღეთ იმიტომ, რომ ამ გაზეთში ერთი წერილიც არ შემხვედრია, რითაც გაზეთებში არსებული კინკლაობა და კაცი-ჭამიობა საგანგებოდ დაეგმოთ. „სახალხო გაზეთში“ კი ამ ხასიათის წერილი არა ერთი დაიბეჭდა და აქედან ადვილად შეგიძლიათ მიხვდეთ, რომ „სახალხო გაზეთმა“ დაჰგმო ასეთი კინკლაობა და ამ მხრით გადადგა კიდეც ნაბიჯი. რომ პირადობას „სახალხოში“ ნაკლები ალაგი უჭირავს ფანატიკურ მსჯელობას და დოგმატიკას, ეს ჩვენ რედაქციამ არჩილ ჯორჯაძის წერილებით პირდაპირ დაგვიმტკიცა, ხოლო ჩვენი თანამშრომლობა ამ გაზეთში, რედაქციის მიერ გაშვება ისეთ წერილების, რომელსაც ის არ ეთანხმებოდა,—ჩვენ პირდაპირ გვიმტკიცებს, რომ „სახალხოელები“ სერიოზულ კილოთი მსჯელობას და აზროვნობას დოგმებით არ ზღუდავენ და ხელს უწყობს ძალის განვითარებას. აგეთი გულგაშლილობას, აგეთ თანაგრძობას და ხელის გაწვდენას ჩვენ ვერ ვხედავთ „მერცხალი“-ის დღევანდელ მესვეურებში. ცოდოს დამალვა დანაშაულობაა. განა ჩვენ არ ვიცით, რომ „მერცხლელებმა“ თავისი მსოფლ შეხედულების ყოვლად ნიჭიერი და უმწიკვლო პიროვნებანი თავის ფანატიზმით და დოგმატიკით მოიშორეს და გარიყეს? დაუფიქრდით, რა ამბავმა გამოიწვია ამ ისტორიულ მატერიალიზმის ეპიგონების გათიშვა „მერცხლიდან“? რამ გამოიწვია 1908 წელში „ჩვენი კვალი“-ს დაარსება, იმ ჯგუფის შექმნა, რომელიც ამ ორგანოს შემოეკრბნენ? ეს შემთხვევა იყო? თუ ყოველივე ეს მოხდა იმ სისასტიკესა და გაუტანლობისა გამო, რომელიც დამყარდა თქვენის მეოხებით? აზროვნების მონასტერი არ გახსოვთ? ძალების დაქსაქსვას, კრიტიკულ მიმდინარეობას არა ხედავთ?

თითქოს დავშორდით საკითხსა, მაგრამ ამ ფაქტებს მჭიდრო კავშირი აქვს წერილის დედააზრთან. ყველა ეს ფაქტები გვიმტკიცებენ, რომ „მერცხლელების“ აზრთა თავისუფლების უპატივცემლობის და გაუტანლობის გამოა ყოველივე. აგეთი ერთი მეორის გაუტანლობა, შინაურების დაზოგვა, იდეურ მოწინააღმდეგების აბუჩათ აგდება,—ყოველივე ეს ფრიად არა სასურველია, სავალალოა და ჩვენც ეს აღვნიშნეთ.

თ. ღლონტი.

ომი თუ ზავი

ბალკანეთის ომმა, რომელსაც მიზნად ჰქონდა საუკუნოებით დაჩაგრულ ერთა განთავისუფლება, დაჰკარგა თვისი პირვანდელი ხასიათი, როგორც ამოქალაქო ბრძოლისა, და მურისიების აშკარა იარაღად გადაიქცა. მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელსაც გულისფანცქალით ეგებებოდნენ არა თუ მხოლოდ ბალკანეთის ერების მდგომარეობაშიყოფნი, არამედ მთელი ქვეყნის მოწინავე ნაწილი, ნელ-ნელა ჩამოეცალა იმზიდველობის შარავანდედი. ამ ჟამდ ბალკანეთის მოკავშირეთა მტრებთან ერთად მათი მეგობრებიც აშკარდ აღიარებენ, რომ იმ საშინელ სისხლის ღვრას, რომელსაც დაჟინებით განაგრძობენ გამარჯვებით მთვრალნი, აღარავითარი გამამართლებელი საფუძველი აღარ მოეპოება თვით მეომარ მხარეთა განწყობილება ისეთია, რომ პირდაპირი ოლაპარაკებით მათი შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია. ჯერ კიდევ ერთი თვის წინად, როდესაც მეომრებმა განაცხადეს სურვილი მორიგებისა და ლონდონში გაგზავნეს თვისი წარმომადგენლები ზავის პირობების შესამუშავებლად, ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ ასეთ ცდას არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა და ამიტომ ომიც ისევ განახლდა. თავი და თავი მიზეზი მათი მოურიგებლობისა მხოლოდ ის გარემოება კი არ არის, რომ ადრიანოპოლი, ან ეგეის ზღვის კუნძულები ვერ დასთმო ოსმალეთმა, არამედ ისა, რომ სტამბოლის მთავრობა და მისი მოკარნხე „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტი ვერ ჰხედავს იმ საფრთხეს, რომელსაც თვისი პოლიტიკური ბეცებით უმზადებს იგი სამშობლოს, ხოლო გამარჯვებით გათამამებულ მოკავშირეებს მადა გაუდიდდათ და ამით აღარ დაკმაყოფილდნენ, რაც მათს დროშაზე ეწერა ომის დაწყებისას. ოსმალეთი ვერ შერიგებია იმ გარემოებას, რომ იგი დამარცხდა, როგორც სამხედრო ძალა და, მაშასადამე, სიტყვაშეუბრუნებლად უნდა დაემორჩილოს იმ პირობებს, რომელსაც მტერი უკარნახებს. ვერ შეიგიგებია იმ უბრალო მოსაზრებისა გამო, რომ დამარცხების ალსარებას უეჭველი შეუბრალებლობით თან მოსდევს ოსმალეთის სახელმწიფოებრივი სხეულის სიკვდილიც, რადგან თუ დღემდი არსებობდა ოსმალეთი, როგორც სახელმწიფო, არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ მხედრული ისტორიული ტრადიციის წყალობით. არავითარი შინაგანი ან კულტურული ძალა არ მოეპოვებოდა ამ უზარმაზარ იმპერიას, გარდა მხედრული პატრონობის სულისა, რასაც შეეძლებოდა მისი სხეულის სხვა და სხვა ნაჭრის შეკოწიწება ერთს მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად. ვითომ განახლებულმა ოსმალეთმა მოინდომა ამ ორგანიზმის „გამთელება“ იმ სახით, როგორც ეს განზრახული ჰქონდა „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს, მაგრამ ასეთი ცდა სრული კოტრობით გათავდა. დიახ, ოსმალეთი ვერაოდეს შეურიგდება იმ გარემოებას, რომ იგი დამარცხდა ბრძოლის ველზე, როგორც სამხედრო ძალა, რადგან ეს დამარცხება იმავე დროს დამარცხებაა მისი სახელმწიფოებრიობისა. ამიტომაა, რომ იგი ქედს არ იხრის გამარჯვებულ მტრის წინაშე და მომაკვდავის გამწარებული სულთქმით ცდილობს ყოფილი დიდების აჩრდილის შენარჩუნებას. იგი ვერაოდეს დასთანხმდება იმ პირობებს, რომელიც მისმა გუშინდელმა ქვეშევრდომებმა წარუდგინეს მას. მეორე მხრით, მოკავშირეები კარგად გრძნობენ მოწინააღმდეგის საბედისწერო ყოფას და ჯეროვნად სარგებლობენ მისი უმწეო მდგომარეობით. თუმცა ომის განახლების შემდეგ ბალკანეთის კავშირის იარაღს დიდი რამ თვალსაჩინო არა შემატებია-რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იანინის ციხის აღებას, რომლის მნიშვნელობა სრულიად გაქარწყლებული იყო ოსმალეთისათვის მას შემდეგ, რაც ალირიზას საველე ჯარი სრულიად განადგურდა ეპირში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოკავშირეებმა ერთიორად გაადიდეს მოთხოვნილებათა ჯამი. ყველაზე მეტ შეურიგებლობას ბულგარეთი იჩენს, რადგან ბალკანეთის კავშირის გეგემონიაც მას ეკუთვნის. ევროპის დიპლომატია, რომელიც ომის დაწყებისთანავე მეტად ორპირულ როლს თამაშობს ბალკანეთის საკითხში, ერთხელ კიდევ შეეცადა მეომართა მორიგებას და იკისრა შუამდგომლობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპის, ან უკეთ რომ ვსთქვათ, დიდ სახელმწიფოთა დიპლომატია ერთნაირი თვალით არ უცქერის ომის ლიკვიდაციის საკითხს. ევროპის სახელმწიფოების ორი თვალსაჩინო ჯგუფი—სამთა კავშირი და სამთა შეთანხმება—მუდმივსა და დაუსრულებელ ქიშპობაშია; ბალკანეთის ომი მათ თვისი გავლენისა და ძლიერების საზომად მიაჩნიათ. ხსენებულ ჯგუფთა დიპლომატია იმის ცდაშია, რომ როგორმე მოწინააღმდეგეს კრიჭა მოუჭიროს და თვისი პოლიტიკური გავლენა გააძლიეროს მეომარ სახელმწიფოთა შორის. ამას ზედ ერთვის კიდევ ზოგიერთ სახელმწიფოს ვიწრო ეგოისტური ინტერესი, როგორც მაგ. ავსტრია, და აი სწორედ ესაა მიზეზი, რომ ევროპა გულგრილად ვერ შესცქერის საშინელი და აწ უმიზნო ომის ლიკვიდაციის საქმეს. ბალკანეთის კავშირი მხედველობაში ღებულობს, რასაკვირველია, ევროპის სახელმწიფოთა ქიშპობას და ისეთ პირობებს უკარნახებს დამარცხებულ მოპირდაპირეს, რომლის მიღება ხელს აღებინებდა მას იმ მცირე ნამსხვრევზედაც კი, რაც ომის ცეცხლს გადაურჩება ხვალ ან ზეგ. ბულგარეთის მომავალ საზღვრად მიდია-როდოსტოს ფარგალს მოითხოვს, რაც სრულიად არ შეესაბამება არც ომის პირვანდელ მიზანს და არც სამართლიანობას. ამ მოთხოვნილებით მარმარილოს ზღვის სანაპირო, ქ. როდოსტოდან დაწყებული პერისტერამდე, ბულგარეთის ხელში გადადის და ხსენებული ზღვა, რომელიც ოსმალეთის ტბად ითვლებოდა დღემდე, სრულიად ჰკარგავს მნიშვნელობას, როგორც საფარი ოსმალეთის სატახტო ქალაქისა, რადგან საზღვრის ასეთი დამყარებით დარდანელის სრუტის სიმაგრეებს სავსებით ეკარგება ძალა. მართალია, ბულგარეთი აღთქმასა სდებს, რომ მარმარილოს ზღვაზე იგი არ იყოლიებს სამხედრო ფლოტს, მაგრამ ყველამ კარგად იცის თუ რა ფასი აქვს ასეთ აღთქმას დიპლომატიურ ურთიერთობაში. ამას გარდა, ხსენებული ზღვის სანაპიროები უმეტეს ნაწილად ოსმალებითაა დასახლებული, მაშასადამე მის შეერთებას არც ბულგარეთის სახელმწიფოებრივი კეთილდღეობა მოითხოვს. მეორე მუხლი მოთხოვნილებისა, რომელიც ამწვავებს შეურიგებლობას, არის ოსმალეთის მიერ სამხედრო საზღაურის ანუ კონტრიბუციის გადახდა. ოსმალეთი ღარიბი და უკულტურო სახელმწიფოა. იგი უცხოეთში აღებული სესხით იბრუნებდა სულს, ხოლო დღეს, როდესაც ომმა ამდენი მოულოდნელი ხარჯი დაატეხა თავს, მისი ეკონომიური კეთილდღეობა სრულ კოტრობას უდრის. სახელმწიფოს მთელი გამორჩენა და სიმდიდრე უცხოელი კაპიტალისტების ხელშია, რომლებიც სამ ზომა ტყავს აძრობენ უმისოდაც ღატაკ სახელმწიფოს. ცხადია, ოსმალეთი კონტრიბუციას ვერ გადაიხდის და ევროპა დასთანხმდება მოკავშირეების ასეთ ოპერაციას, რადგან ოსმალეთის დავალიანება პირველ ყოვლისა მის ქვეშევრდომთა ჯიბეს გაჰკრავს ხელს. მაგრამ ამ უთანხმოებას კიდევ შემოევლება რამენაირად, რადგან იქ, სადაც საქმე საკუთარ ინტერესზე მიდგება, ევროპის დიპლომატია ყოველთვის მედგრად და გაჰრით მოქმედობს; ბოლოს და ბოლოს, იგი ხელს აალებინებს მოკავშირეებს ამ მოთხოვნილებაზე. დარჩა ერთი უმთავრესი და თან საშიში მუხლი: სკუტარის საკითხი. მოგეხსენებათ, რომ ომის დაწყებისთანავე ჩერნოგორიის პატარა ხალხი კვერცხივით ასკდება სკუტარის ციხის კედლებს, რომელსაც გაუტეხელი მხნეობით იცავს ძამაცი ჰასანრიზა. ჩერნოგორელებისთვის, როგორც არა ერთგზის საქვეყნოდ განაცხადა მეფე ნიკოლოზმა, ამ ციხის აღება და შენარჩუნება სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხად გადაქცეულა. სკუტარის ალყამ მსხვერპლად შეიწირა ჩერნოგორელთა მთელი ჯარის თითქმის ერთი მეოთხედი და, რასაკვირველია, ასეთი დანაკლისის შემდეგ პატარა და ჯიუტი ხალხი ნებაყოფლობით აღარავის დაუთმობს ამდენი ჰაპაწყვეტის ნაყოფს. ევროპის დიპლომატიის სამსჯავროში კი (ელჩთა ლონდონის კონფერენცია) ხსენებული ქალაქი ალბანეთის მომავალ ავტონომიას არგუნა. ამიტომ, როდესაც სერბიამ დამხმარე ჯარი გაუგზავნა ჩერნოგორიას სკუტარის ასაღებად, ავსტრიამ პროტესტი განაცხადა და ლონდონის კონფერენციას მოაგონა თვისი დადგენილება. ერთხანს ავსტრია-ჩერნოგორიის ომზედაც კი გაისმა ხმა. ამრიგად დაიბადა ახალი უთანხმოება, რომელიც საგონებელში აგდებს ევროპის მოქნილ დიპლომატიას. პატარა ჩერნოგორიას იმედი აქვს დიდი რუსეთისა, რომელსაც გადაჭრით არ გამოუთქვამს თავის აზრი სკუტარის ბედის შესახებ; ხსენებული საკითხის გადაწყვეტას იგი გარემოებას უკავშირებს: აიღებენ მოკავშირეები სკუტარის, თუ ვერა იმის შესაფერი იქნება რუსეთის დიპლომატიის დამოკიდებულებაც. ყოველ შემთხვევაში, სკუტარის ბედს გარდა ბალკანეთის ომი ისეთ მოულოდნელობას იტევს, რომელიც კიდევ მრავალგზის გააგონებს ყელამდი იარაღში ჩამჯდარ ევროპას საბედისწერო სიტყვებს: „ომი თუ ზავი?“

კოლხი.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

დეპეშები.

სათათბიროს სამოსამართლო რეფორმათა კომისია შეუდგა სენატის ცვლილებათა პროექტის განხილვას. მომხსენებელმა გრ. ზენიგსენმა მთავრობის პროექტში რამდენიმე შესწორება შეიტანა. მთავარი შესწორებანი: სენატის დეპარტამენტებში შტატების დაარსება, სენატორების შეუცვლელობა, სენატორების კანდიდატთა შტატის დაარსება და განათლების ცენზი. მომხსენებელი მოითხოვდა აგრეთვე, რომ სენატის მიერ საქმის განხილვაში მინისტრებს ჰქონდეთ სათათბირო ხმა და არა გადამწყვეტი. ოპოზიციამ შეიტანა შესწორება, რომ სენატორებმა თვით დაასახელონ სენატორობის კანდიდატებიო. იუსტიციის მინისტრი არსებითად თანახმაა შტატების დაარსებისა, მაგრამ მისი განხორციელება ეხლა შეუძლებლად მიაჩნია. მინისტრი არც იმის წინააღმდეგია, რომ სენატორებს სიკვდილამდე არა სცვლიდნენ, მაგრამ მოითხოვს დაარსდეს სენატის შედგენილობაში უხუცესთა საბჭო, რომელიც სენატორთა სადისციპლინო საქმეებს გაარჩევს. მინისტრს არაფერი აქვს საწინააღმდეგო განათლების ცენზის დაწესებისა, მაგრამ იგი გადაჭრით მოწინააღმდეგეა იმისა, რომ სენატში მინისტრებს გადამწყვეტი ხმა წაერთვას. მუხლობრივ განხილვის დროს, კომისიამ მიიღო მომხსენებლის წინადადება შტატთა დაარსების თაობაზე,

---

მისწრაფებას, მის ულვთოდ სიკვდილს იგი იმითი ხსნის, რომ „ალბად შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგონია, რა ვადა დაუნიშნესო“.

ამნაირად, სინიდის დამშვიდებული მიქელა განიზრახავს ნესტორს მოყვანას შინ, მაგრამ დაშინებული რძალი მაია ურჩევს მამამთილს, ნუ აჩქარდებითო. ისიც, რძლის სიტყვებით დაფიქრებული, ამბობს: „იყვეს!... იყვეს!... ის კარგად მეყოლოს და მე მისი ჭირი წამიღია!.. **ჩემი სულის მაცხონებელის!..** იყვეს!.. მისი ჭირის სანაცვლოდ ვიყვე, **ჩვენი სულის მაცხონებელის**“-ო. ამნაირად, სულის ცხონებაში ჰხედავს მიქელა თავისი არსებობის მარადისობას: ამ წუთი სოფლიდან იგი გადადის საიქიოს საცხოვრებელში, სადაც მას მოელის, მისი რწმენით, დაუსრულებელი, სამარადისო ცხოვრება.

ეს არის ამ პატარა „ამბავის“ დედა აზრი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მოთხრობაში არ არის ჯეროვნად გაღრმავებული და გაშუქებული. ეს ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულება ჩვენებური გლეხისა ცოტა არ იყოს დაჩრდილულია „მიქელაში“ ყოველდღიური საპირბოროტო, საამსოფლო საკითხების გარკვევით. ქართველი გლეხის უვიცობა-უკულტურობას, მის სიღარიბე-სიღატაკეს უფრო ადრე დაინახავთ „მიქელაში“, ვიდრე სამარადისო არსებობისათვის ზრუნვას. ამიტომ „მიქელა“ თავისი მნიშვნელობით და ხასიათით „მსხვერპლს“ უფრო უახლოვდება.

ვფიქრობდი აქ გამეთავებინა კლდიაშვილის მოთხრობების შესახებ საუბარი, მაგრამ ჩვენი ბელეტრისტი ერთ ახალ მხარესაც აღნიშნავს თავის მოთხრობებში. ეს გახლავთ ქართველ ინტელიგენტთა ან, უკეთ რომა ვსთქვა, მოინტელიგენტო ახალგაზრდობის სულის კვეთება, მისი ფიქრი და ზრახვანი საზოგადო და კერძო ცხოვრებაზე. ამ ახალ თაობის ცხოვრებიდანაც მოგვცა ბ. კლდიაშვილმა ორი სურათი. ესენია „წრფელი გული“ და „მრევლში“. ამ ხანად უყურადღებოდ ვსტოვებ პირველს, იქნებ შემდეგ დაუბრუნდე მას, ხოლო „მრევლში“-ს შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ; მოვიყვან მხოლოდ მის მოკლე შინაარსს და ჩვენი კრიტიკოსის ბ. ივ. გომართელის აზრს მის შესახებ.

სემინარიაში სწავლა დამთავრებული და სოფლად განწესებული ახალგაზრდა მღვდელი ზოსიმე ფიქრობს უანგაროდ შეუდგეს ხალხის სამსახურს; იგი ოცნებობს გაჭირვებული გლეხობის გაბედნიერებას, მაგრამ რეალურმა სინამდვილემ ფრთები შეაკვეცა მის მაღალ აზრებს და ჩვეულებრივი ცხოვრების სიმდაბლემდის ჩამოაქვეითა. ზოსიმე დაახლოვებით გაეცნო თავისი მრევლის სიღატაკეს, მის სიბნელეს, მაგრამ ვერა უშველა-რა. აქ ძან იგრძნო საკუთარი უძლურება და, პირიქით, ღარიბ-ღატაკი, მშიერ-მწყურვალი და ტიტველ-შიშველი ცოლ-შვილის პატრონი თითონ დაემორჩილა ცხოვრების ულმობელ კანონებს: ისიც იძულებული გახდა „ყოველივე ოცნებაზე ხელი აეღო და ეცხოვრა ისე, როგორც სხვები (სხვა მღვდლები) ცხოვრობდნენო“, —დასძენს ავტორი. ასეთია ახალგაზრდა მღვდლის ფიქრი და საქმე, მაგრამ გავათავებ ბ. გომართელის სიტყვით: „ბევრს (ახალგაზრდას) დაუნაღვლიანებს გულს ზოსიმეს მდგომარეობა, რადგანაც ნათლად დაინახავს, რომ მომავალში ისიც იმავე გარემოებათა შორის მოექცევა ცხოვრების სარბიელზე, როგორც ზოსიმე, ბევრი იტყვის: ვაი, თუ მეც ზოსიმესავით ჩამოვყარო საკოწარკვეთილების ცრემლები და ბედს შევურიგდეო. ამგვარმა ფიქრებმა შეიძლება ზოგს მაინც **მოანახვინოს რაიმე საშუალება** (ხაზი ჩემია), რომ მცირეოდნადაც არის აიცილოს ზოსიმეს მდგომარეობა ცხოვრებაში. „აი, ეს მიმაჩნია ამ პატარა სურათის მნიშვნელობადა და სარგებლობადაო“-ო, — გვეუბნება პატივცემული კრიტიკოსი. მაგრამ არა მარტო „მრევლში“-ს შესახებ შეიძლება ასეთი აზრის გამოთქმა. საზოგადოდ იმნაირი ხასიათისა და თვისებისაა კლდიაშვილის შემოქმედება, რომ მხოლოდ ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ მთელი მისი მწერლობიდან. სრული ჭეშმარიტებაა ბ. გომართელის სიტყვები, რომელიც ამბობს: „ჩვენში, სადაც საზოგადოება თითქმის ეხლა იდგამს ფეხს, სადაც ჯერ ყველა თავის თავისათვის სცხოვრობს, საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობას არ იცნობს, არ ეტანება, ამგვარის, ნანიჭისა და მიმართულების მწერალი (იგულისხმება ბ. კლდიაშვილი) დაუფასებელია, რადგანაც გვაცნობს ჩვენს ცხოვრებას, გვითვალისწინებს იმის ცვლილება-მიმდინარეობას, **გვიბადავს საზოგადო ინტერეს**, ნელ-ნელა გვატყობინებს განკერძოებულად, თავისის თავისათვის ცხოვრებას და **საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩემის მოთხოვნილებას გვიღვიძებ-“სო** (ხაზი ჩემია).

ამნაირად, დავინახეთ-რა უმთავრესი ძარღვი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი ახალი სიტყვა-კაზმული მწერლობაც, უმთავრესად მისი გამომხატველია, როგორც ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები საერთოდ, ისე დ. კლდიაშვილიც კერძოდ მის მიერ შემჩნეულ საზოგადოებრივ აზრს თავის მოთხრობებში ანხორციელებს. თუ აქამდე თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და გლეხობა მხოლოდ თავიანთ საკუთარ ინტერეს ემსახურებოდენ ცალ-ცალკე, თუ ისინი მხოლოდ ამაზე ზრუნავდენ, ეხლა კლდიაშვილის მოთხრობათა წყალობით ჩვენ **მათ საერთო გაჭირვებასაც** ვსცნობთ; დღეს ყველასათვის ცხადია საერთო უმწეო მდგომარეობიდან გამოსვლის საჭიროება, ცხადია, რომ მთელი ჩვენი ყურადღება და ძალ-ღონე ამ მიზნისაკენ უნდა იყოს მიმართული.

საზოგადოდ მხატვრული ლიტერატურა ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლებოდა ყოველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოშობა განვითარებაში და ამ მხრივ დაუფასებელია იგი ჩვენთვისაც, ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერისათვის. აი, ამ შეგნების გაღვიძებას, ეროვნული თვით-შემეცნების გაძლიერებას ემსახურება კლდიაშვილის მოთხრობები უმთავრესად, და სწორედ ეს მიმაჩნია მათ ერთად-ერთ დანიშნულებად.

გ. ჭუმბურიძე.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

7 მარტი.

სოფია. ფერდინანდ მეფემ დეპეშით ღრმა მწუხარება გამოუცხადა საბერძნეთის მეფეს, ქვრივ დედოფალს და ვენიზელოსს. სასახლეში 15 დღით მგლოვიარობაა გამოცხადებული. საერო კრებამ მოკავშირე ერს სამძიმარი გამოუცხადა და ნიშნად გლოვისა სხდომები შესწყვიტა.

ათინა. მეფე კონსტანტინემ ჯარში ბრძანება გასცა, საცა აცხადებს, რომ საზიზღარმა მკვლელობამ საბერძნეთის ერს ფრიად გაჭირვებულ დღეებში წაართვა ხელმძღვანელი. მე მთელი სიცოცხლე ჯარს შევწირე, რომელთანაც მოკავშირეებს ბედნიერი და უბედური ომები აქვთ.

პალატაში ვენიზელოსმა მოკლულ მეფის თაობაზე სიტყვა წარმოსთქვა. ოპოზიციის ლიდერმა შეაქო განსვენებული. პალატამ დაადგინა ექვსი თვით მგლოვიარება გამოაცხადოს და ძეგლი აუგოს მეფეს.

სალონიკი. მოკვლის წინა დღეებში მეფეს ადიუტანტისთვის უთქვამს: დანელი მწერალი ჩემს ბიოგრაფიას სწერსო, მას დარჩება ჩაურთოს მშვენიერი თავი საბერძნეთის ექსპედიციისა მაკედონიაში და ჩემი აქ ყოფნაო.

სალონიკი. დაქვრივებული დედოფალი 7 მარტს რუსეთის სამხედრო გემით მოვიდა.

პირეა. მეფეს რვა მარტს მოელიან. მოკლულის გაჭრის დროს აღმოაჩინეს, რომ ტყვიას გულსა და ფილტვებში გაუვლია. მეფე იმ წამსვე გარდაიცვალა. მკვლელმა განაცხადა, ანარქისტი ვარო. მას აღმოაჩნდა ღია ბარათი, რითიც იგი საზოგადოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ ილაშქრებს. წერილში ნათქვამია, რომ მეფის მოკვლის შემდეგ გადასწყვიტა თავის მოკვლა.

ათინა. კონსტანტინე მეფე იანინაში მივიდა. ჯერ რამდენადაც გამორკვეულია, მკვლელს მონაწილე არა ჰყოლია.

ბელგრადი. საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს მოკლულ მეფის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ პეტრე მეფის წარმომადგენელნი, პაშიჩი, მთავრობის წევრები და დიპლომატთა კორპუსი.

სოფია. ჩათალჯისთან ოსმალებმა ხელ-ახლად განიზრახეს ბულგარებზე იერიშის მიტანა. მოიერიშე ჯარში შედიოდა ქვეითა ჯარის ხუთი დივიზია, არტილერია და მხედრობა. ბულგარებმა უკუ აქციეს ოსმალები. უკანასკნელთა დანაკლისი თვალსაჩინოა. ბულაირთან და ადრიანოპოლთან სიმშვიდეა.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობა იუწყება, რომ ყოველივე სურსათს, რომელიც საროსის სრუტეს სანაპიროებზე იქნება შემოტანილი მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარისთვის, კონტრაბანდად ჩავთვლიო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

7 მარტი.

ვენა. ბერტჰოლდმა საბერძნეთის ელჩი ინახულა და იმპერატორის სახელით სამძიმარი გამოუცხადა.

ლონდონი. ასკვიტმა წინადადება მისცა პალატის სახელით მეფეს სამძიმარი გამოუცხადოს საბერძნეთის მეფის მოკვლის გამო.

ბერლინი. ლანდტაგის პრეზიდენტმა ლანდტაგის სახელით სამძიმარი გამოუცხადა საბერძნეთის ელჩს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ დაადგინა სამძიმარი გამოუცხადოს ინგლისის მეფეს და დედოფალს, საბერძნეთის მეფეს, მთავრობასა და ერს.

ბუქარესტი. მეფემ, მინისტრებმა და დიპლომატთა კორპუსის წარმომადგენლებმა სამძიმარი უთხრეს საბერძნეთის ელჩს.

ვენა. ორი დივიზია გემით პოლიდან სამხრეთისკენ წავიდა. ოფიციალურის ცნობით გემები სავარჯიშოდ გაიგზავნა.

ლონდონი. სამხედრო მინისტრმა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის შეტანის დროს საზოგადოებათა პალატაში განაცხადა: ცეპელინის ტიპის დირიჟაბლები ინგლისის ჯარისთვის გამოუსადეგარია. ამისთვის მთავრობამ დაადგინა, საფრენად მსუბუქი ჰაეროპლანები გააკეთოს. ინგლისში ეხლა 101 ჰაეროპლანი ითვლება. 18 მაისს ჰაეროპლანთა რიცხვი 148 გაიზრდება. ინგლისს ყველა სახელმწიფოზე უკეთესი ჰაეროპლანები აქვსო,—განაცხადა მინისტრმა.

ლონდონი. ჯერ-ჯერობით ოფიციალურად არ არის დამტკიცებული ცნობა, ვითომც ავსტრიას ესკადრები გაეგზავნოს და გადაჭრილი მოთხოვნილებანი წარედგინოს ჩერნოგორიისთვის. პოლიტიკოსთა წრეში არა სჯერათ ავსტრიის მიერ აგრესიულ მოქმედების უეჭველ დაწყება, მით უმეტეს მაშინ, როცა უკანასკნელ დროს მომხდარი ამბები მშვიდობიანობის იმედს იძლეოდნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ მართალია ავსტრიის გამოლაშქრება, მარტოოდენ ავსტრიის პასუხისმგებლობას ეკუთვნის და ელჩთა თათბირს არ ეხებაო.

ვენა. გაზეთებმა ოფიციალურ ორგანოებთან ერთად ჩერნოგორიისა და სერბიის წინააღმდეგ გაილაშქრეს. გაზეთები ჰკიცხავენ ჩერნოგორიის უადამიანობას სკუტარზე იერიშის მიტანის დროს და „შკოდრა“-ს გემთან მომხდარ უსიამოვნო ამბის გამო. გაზეთები ჩერნოგორელების საქციელში საერთაშორისო უფლების ცხად დარღვევას ჰხედავენ. „რეიხსპოსტის“ სიტყვით, ავსტრია-ჰუნგრეთის მოთხოვნილებანი, რომელთაც ჩერნოგორიას წარუდგენენ, შემდეგი იქნება: მიეცეს უფლება არა მეომართა მცხოვრებთ სკუტარიდან თავისუფალი გამოსვლისა, მიეცეს უფლება ავსტრია-ჰუნგრეთს მონაწილეობა მიიღოს ლაკოვთან კათოლიკე ბერის პოლიჩის მოკვლის გამოძიებაში, შესწყვიტოს ჩერნოგორიამ კათოლიკეთა ნაძალადევი ნათვლა მართლმადიდებელ ქრისტიანებად, „შკორდის“ ამბის გამო ჩერნოგორიამ დააკმაყოფილოს ავსტრია-ჰუნგრეთი.

ვენა. „ფრემდენბლატი“-ს ცნობით, ავსტრია-ჰუნგრეთის საქმეთა რწმუნებულს ცეტინიეში დაევალა წარუდგინოს ჩერნოგორიის მთავრობას ნოტა ლაკოვში, სკუტარში და სანჯიოვანიდე-მედუასთან მომხდარ ამბების თაობაზე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

7 მარტი.

საზღვარ-გარედ

პარიზი. პუანკარეს თათბირი ჰქონდა პოლიტიკურ მოღვაწეებთან. პუანკარეს აზრს დასთანხმდნენ, რომ ახალი კაბინეტი უნდა სცდილობდეს ორივე პალატის რესპუბლიკანური ელემენტები მოარიგოსო. ჰფიქრობენ, ბარტი შესძლებს ამ მიზნის განხორციელებასო.

პარიზი. პუანკარემ ლუი ბარტს ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა.

მადრიდი. კონსერვატორთა პარტიამ გადააყენა თავისი ბელადი მაურუ პარტიის ხელმძღვანელობიდან, რადგანაც მაურუს პოლიტიკა ეწინააღმდეგება პარტიის და მთავრობის ინტერესებს. პარტიის ბელადად ედუარდ დატო აირჩიეს.

პეკინი. ორივე პალატის სესია 8 აპრილს დაიწყებს მოქმედებას.

რუსეთი.

ვერნი. მდინარე ჩუს ორივე ნაპირზე აღმოაჩინეს ქვა-ნახშირისა და სალესი ქვის მაღაროები. ქვა-ნახშირი აღმოჩნდა აგრეთვე თალმარის სახაზინო მამულში.

პეტერბურგი. თავად-აზნაურთა შეერთებულმა კრებამ განიხილა საბჭოს კომისიის მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის საკითხზე. კომისიის აზრით, საჭიროა პრესისათვის შეიქმნეს ისეთი პირობები, რომელნიც უზრუნველ-ჰყოფენ უმაღლესად ბოძებულ თავისუფლებას. სიტყვის თავისუფლება მის სრულს განუსაზღვრელობას არა ჰნიშნავს. ყოველ-გვარმა წესწყობილებამ უნდა დაიცვას კანონები, სარწმუნოება, საზოგადოებრივი ზნეობა და მოქალაქეთა პირადი უფლებანი. კომისია საჭიროდ მიიჩნია ბეჭდვითი სიტყვის სპეციალური წესები დროებით დაურღვეველი დარჩეს დრო-გამოშვებით, ჟურნალ-გაზეთების და არა-რუსთა გაზეთების მიმართ. კომისია საჭიროდ სცნობს სპეციალურ ცენზურის დაცვას, როგორც სასახლისა, საზღვაო-სამხედრო, სადრამო, სასულიერო, სამედიცინო და სხვა. კომისიის მოხსენება ერთხმად მიიღეს.

მოსკოვი. ბუხარაში წავიდა ბუხარის ემირი.

უცხოეთი

საფრანგეთი და ესპანია.

ამ ახლო ხანში საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ განიხილა და მიიღო ესპანიისა და საფრანგეთის ხელშეკრულება მაროკოს თაობაზე. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია გარეშე საქმეთა მინისტრის—ჟონარის—სიტყვა და საერთოდ თანაგრძნობა და მეგობრობა ესპანიის სახელმწიფოსადმი, რაც დეპუტატთა კამათის დროს გამოირკვა. „საფრანგეთსა და ესპანიას ჰსურთო—სთქვა მინისტრმა,—რომ მათ შორის აზრთა მუდმივი გაზიარება ჰსუფევდეს, ერთიერთმანეთს დახმარება გაუწიონო დაე, ამ ურთიერთა ნდობის პოლიტიკამ, იმის გარდა, რომ მაროკოში ევროპის კულტურას სარგებლობას მოუტანს, განამტკიცოს ორ სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობაო“.

ჟონარის სიტყვამ საფრანგეთის პარლამენტში დიდი თანაგრძნობა მოიპოვა. ესპანიის პრესაც და საზოგადოებაც დიდის კმაყოფილებითა და აღტაცებით მიეგება მას. ესპანიის პრემიერმა გრ. რომანონესმა, განაცხადა, რომ ესპანიის მთავრობა სავსებით დაკმაყოფილებულია საფრანგეთის პარლამენტის კამათით და მაროკოს საკითხის განხილვითაო. ესპანიის ელჩმა საგანგებოდ ინახულა ჟონარი და ესპანიის კაბინეტის სახელით მხურვალე მადლობა გამოუცხადა პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვისთვის. შესაძლებელია ახლო მომავალში საფრანგეთის და ესპანიის შეკავშირება მოხდეს, ისიც მოსალოდნელია, რომ ესპანია შეუერთდეს სამთა შეთანხმებას. ეს აზრი მით უფრო მტკიცედ იკიდებს ნიადაგს, რომ მთელი ევროპა შეშფოთებულია გერმანიის გაძლიერებით და ევროპის თანაბრობის დარღვევით. ამ აზრს დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან საფრანგეთშიაც და ესპანიაშიაც. თუმცა ესპანიის პრემიერმა განაცხადა, რომ ესპანია არცერთ სახელმწიფოს არ შეეკვრის კავშირითო, მაგრამ საქმის განხორციელება ადვილად შესაძლებელია, მართლაც, როცა მთელი ევროპა განსაკუთრებულის ცხოვრებით სცოცხლობს საქმის არევ-დარევით და მდგომარეობის დახლართულებით; ესპანია თითქოს ისტორიის გარეშე მოჰყოლიაო და მთელ ევროპის საჭირ-ბოროტო საკითხებში არ ერევა. საჭიროა ევროპის ფერხულში ესპანიაც ჩაებას, მისი ხმაც გაისმას. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით, თუ იგი ან სამთა შეთანხმებას, ან სამთა კავშირს მიემხრობა. ესპანიისთვის სამთა შეთანხმება უფრო სასარგებლოა ვიდრე სამთა კავშირი, მით უმეტეს, რომ სამთა შეთანხმებაში შედის მისი მეგობარი და კეთილის-მყოფელი ინგლისი. ისიც კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ესპანიაში მკვეთრად ისმის ხმები საფრანგეთთან დაკავშირების წინააღმდეგ. ესპანელებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ, მაროკოს საკითხში საფრანგეთის გადამეტებული მოთხოვნილებანი, წრეს გადასული გულისთქმანი. მაგრამ სირთულე დღევანდელის დღისა, ძველ უსიამოვნებას დაივიწყებას მისცემს და, რაც ადვილად მოსალოდნელია, „ოთხთა შეთანხმებას“ შეჰქმნის“ (რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და ესპანია).

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. კვირას, 10 მარტს ქართ. სახ. წარ. მმარ. წრის მიერ დამსახ. მსახ. ქ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება უკვდამი კომედია ა. ცაგარლისა „ხანუმა“ 4 მოქ. ადგილების ფასი 5—50 კ-მდე.

14 მარტს სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება „ღალატი“.

26 მარტს, მ. ჯაბაურის საღამო, აღსანიშნავად მისი 20 წ. სახ. სცენაზე მოღვაწეობისა.

ქუთ. სახალხო წარმოდგენების მომწყობ წრეში ჩაეწერა 25 სცენისმოყვარე. ამათ შორის სამი ცნობილი მსახიობია: ვასო ბალანჩივაძე, გიორგი თუთბერიძე და ჯანიევი. გადაწყვიტეს პირველად დადგან ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. წარმოდგენის წინ წაიკითხავენ ლექციას „სახალხო წარმოდგენების მნიშვნელობაზე“.

წერილ. რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც შესწირეს და შეაგროვეს ფული ს. სვიმონეთის უფასო სამკითხველოსათვის: ან. ყიფიანისამ—1 მან., გ. ყიფიანმა—1 მან., ს. იაშვილმა 1 მან., ს. გ. 50 კაპ., ელ. გ.—50 კაპ., მ. გ.—50 კ., ელ. გ.—50 კ., ელ. სულხანიშვილისამ—50 კ., კნ. ა. მაჩაბლისამ—1 მან., ე. გოგიჩაიშვილისამ—1 მან. გ. დავით კარიჭაშვილის შეგროვილი: ლ. კარიჭაშვილმა—50 კ., ი. რატიშვილმა—1 მან., თ. ლომაურმა—50 კ., ნ. ბაქრაძემ—50 კ., შ. ქარუმიძემ—30 კ., დ. პარკაძემ—30 კ., ა. თოთიბაძემ—25. ი. მონადირიშვილმა—50 კ., ს. გურისაშვილმა—50 კ., ა. მიქაბერიძემ—20 კ., ნ. ახმეტელმა—20 კ., დ. კილოსანიძემ—45 კ., დ. ქადაგიძემ—50 კ., ალ. მდივანმა—50 კაპ. სულ 13 მ. 70 კ., ძველიც იყო 13 მ. 30 კ. სულ გახდა 27 მან.

ეფროსინე ქაიხოსროს ასული

კლდიაშვილისა

ჩაუბარებელი დეპეშები

ყაზანიდან—ტატიშვილს, ქუთაისიდან—1.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: **სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: **ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: **სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: **სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 9/10 б, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: **სახ** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: **სახ.-საბ.** № 8;7, საღ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან: **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: **სახ** № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: **სახალ.** № 9|10 б, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: **სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: **სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: **სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: **სახ.** № 26, დილ. 6 ს, 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; **სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: **სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ამლაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გ მი შაბ., და კვირ., ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, პარ. საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, პარ., და სამშაბ., ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

განცხადებანი

თესლეულობა

საუკეთესო ხარისხისა, ნაცადი, არაოდეს არ მოსცდება, ხახვის ღივი, ხენდრო, მცენარეთა ნერგები, ადრეული კარტოფილი. ფასები სინდისიერია.

ს. მ. კოველის თესლეულობის დეპო.
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 27. 1087.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპურება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგაბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტიხიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

პასხალიდის
აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში**
ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს** კანტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროზე დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსატანელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოდ.

ტფილისისა. ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 107

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზ ლა, (ქიტკა), ორაგული, თარ ტარაღანა, ლოქო და სხვა. და თვე ყოველ დროს იყიდება მაღა
მოხარშული დოში, ზურგიელ
და ყოველგვარი
შავი ხიზილალა

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.